ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3541434

ნომერი: AR1538663

თარიღი : 08.09.2017

გაცემის თარიღი : 15.09.2017

გაცნობის თარიღი : 15.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მინდელის ქუჩა N3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით უგულავა პ/ნ 01010008231
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 15 ბ. 23

ორგანიზაცია:

- შპს ამპერი კოდი: 404935497

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, მინდელის ქუჩა, N3 -ში, შპს სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის (მოიჯარე: შპს ამპერი) საკუთრებაში არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობას. ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მოწყობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882017564511, 30/06/2017წ. 17:05:09სთ; საკადასტრო კოდი N 01.14.01.007.301, არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი;) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, მინდელის ქუჩა, N3 -ში, შპს სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის (მოიჯარე: შპს ამპერი) საკუთრებაში არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობას.

ამასთან, გაითვალისწინეთ:

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge